

**„გული მთებისკენ მიიწევს...“ - ლექსის ლინგვო-სტილისტური
ანალიზისათვის
(ორიგინალისა და თარგმანის მიხედვით)**

რჩეულიშვილი ია

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი
<https://doi.org/10.52340/idw.2025.36>

აბსტრაქტი. შოტლანდიელი პრერომატიკოსი პოეტი რობერტ ბერნსი მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში. მისი პოეზია მრავალმხრივია. ჩვენთვის საინტერესო აღმოჩნდა იმ პოეტური ხერხების განზოგადება, რომლებმაც მისი პოეზია ყველასთვის ხელმისაწვდომი და ადვილად გასაგები გახადა. ანალიზისთვის მასალად შევარჩიეთ რობერტ ბერნსის ლექსი „ჩემი გული ჰაილენდსშია...“. ეს ლექსი მიძღვნილია მშობლიური შოტლანდიური მთებისადმი. ლექსმა თავისი სულით შეგვახსენა ილია ჭავჭავაძის „ყვარლის მთებს“. ორივე ლექსში ვხედავთ მონატრებას მაღალმთიანი მხარისადმი, სადაც მიწაც და ჰაერიც სუფთაა. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ლექსი მდიდარია ლექსიკით, რაც განპირობებულია მასში გამოყენებული გამორჩეული სტილისტური ხერხებით. ასევე საინტერესო აღმოჩნდა ლექსის ქართული თარგმანის შესწავლა. თარგმანი ინარჩუნებს ლექსის რიტმს, ინტონაციასა და მხატვრულობას. ამიტომაც მიგვაჩნია, რომ ეს თარგმანი ორიგინალთან ყველაზე მიახლოებული ნიმუშია — მოკლე, მაგრამ ამავე დროს გამომხატველობითი.

საკვანძო სიტყვები: ბერნსი, რომანტიზმი, მთები, თავისუფლება, პოეტიკა

შოტლანდიელ წინარე რომანტიკოს პოეტს, რობერტ ბერნსს, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში. ღრმად მგრძნობიარე ლირიკოსი, რომანტიკული განცდებით სავსე პოეზიით, დღესაც უდიდესი სიყვარულით სარგებლობს მშობლიურ შოტლანდიელ ხალხში. მას ხშირად მსოფლიო პოეტად მოიხსენიებენ, რადგან ბერნსის პოეზია მეტად მრავლისმომცველია. მასში გამოხატული აზრები დღესდღეობითაც არ კარგავს აქტუალობას. როგორც კრიტიკოსი ვ. ჭელიძე წერდა, ხალხი იყო რ. ბერნსის შემოქმედების წყარო, ხალხისგან ჰქონდა მას შესისხლხორცებული არა მარტო თავისი ლექსებისა და ბალადების რიტმი, მოტივები, მსუბუქი იუმორი, სილაღე და უშუალოება, არამედ მთელი მსოფლმხედველობა, სამშობლოს დაუცხრომელი სიყვარული, მტრის სიძულვილი, პატიოსნება, კაცური კაცობა, ოპტიმიზმი და თავისუფლებისადმი თავდადება (სოხაძე, 2015). პოეტი ხან ბუნების მესაიდუმლეა, ხან თავისუფლებას უმღერის და მკაფიოდ გამოხატავს ძალაუფლებისადმი ზიზღს, ხან მზრუნველი მამაა, ხან მგზნებარე მიჯნური და გამნდობი მეგობარი. მთავარი გმირები არიან უბრალო ადამიანები და მათი ყოველდღიური პრობლემები, რაც ზოგადად პოეზიისთვის უჩვეულოა. როგორც ლიტერატურულ კრიტიკაშია აღნიშნული, ბერნსის ლირიკული გმირი მხიარული, სიცოცხლის ხალისით და სიყვარულით სავსე მიწის მუშაა, მშობლიურ მხარესა და სიტყვიერებაზე შეყვარებული გულგრილი ადამიანი. პოეტი ადამიანების გარდა ცხოველებზე და მათ განცდებზეც წერს, აცოცხლებს უსულო საგნებს. ამიტომაც რობერტ ბერნსის პოეზია ერთდროულად სატირულიცაა და სენტიმენტალურიც. სწორედ ამ მრავალფეროვანი თემატიკის გამო, ბერნსის პოეზია ჯერ მისმა მშობლიურმა ხალხმა და შემდეგ მთელმა კაცობრიობამ შეიყვარა.

პოეტის კალამს არაერთი შესანიშნავი ლექსი ეკუთვნის, მათში წამოწეული

ადამიანური პრობლემებით. 1050 წელს გამოიცა ბერნსის ლექსების პირველი კრებული სახელად: - რობერტ ბერნსი, რომელსაც წინ უძღოდა მთარგმნელის თ. ერისთავის წერილი. თ. ერისთავი წერდა, რომ ბაირონისა და შელის შემოქმედების იდეური საწყისები სწორედ ბერნსის პოეზიის წიაღშია (სოხაძე, 2015). ამდენად, საინტერესო აღმოჩნდა იმ პოეტური ხერხების განზოგადება, რომელთა საშუალებითაც ეს პოეზია იქცა ყველასთვის ახლობელი და ადვილად გასაგები.

ლიტერატურულ კრიტიკაში არსებობს მწერლისა და კრიტიკოსის, ვახტანგ ჭელიძის მოსაზრება, რომ რობერტ ბერნსს ბევრი საერთო აქვს ვაჟა-ფშაველასთან. ეს შეიძლება იყოს სოციალური და ეროვნული ჩაგვრის თემატიკა, ბუნების ტრფობა, ცხოველებისა და ფრინველების გაადამიანება. თუმცა კი პოეტები სხვადასხვა ეპოქაში მოღვაწეობდნენ და მათი ლიტერატურული მიმდინარეობაც განსხვავებულია. ყველაზე არსებითი ის არის, რომ ორივე პოეტის შემოქმედებას ერთი წყარო კვებავდა და ორივეს ქნარი ერთსა და იმავე თემას ემსახურებოდა (სოხაძე, 2015).

ნაშრომის საანალიზო წყაროდ შევარჩიეთ რობერტ ბერნსის ლექსი „**My Heart's In The Highlands**“, „გული მთებისკენ მიიწევს...“, რომელიც პოეტმა მშობლიურ შოტლანდიის მთებს უძღვნა. ლექსმა მასში გამოხატული სულისკვეთებით გაგვახსენა ილია ჭავჭავაძის ლექსი „ყვარლის მთებს“. ორივე მათგანში იგრძნობა სწრაფვა მაღალი მთებისაკენ, არწივთა და ირემთა საუფლოსაკენ, სადაც წმინდაა მიწაც და ჰაერიც, სადაც მხოლოდ მაღალი იდეებით შთაგონებულ სულიერ არსებას შეუძლია ასვლა და შეერთება უზენაესთან. ორივე პოეტი ფიცს დებს, რომ სადაც არ უნდა მოხვდეს, სამშობლო მთების სიყვარული მათ გულებში სამარადისოდ დარჩება. ლექსის ლინგვო-სტილისტურმა ანალიზმა გვიჩვენა ის ენობრივი გამომხატველობითი საშუალებები, რომელთა წყალობითაც პოეტმა მკითხველამდე მიიტანა საკუთარი განცდები.

ლექსი „გული მთებისკენ მიიწევს...“ „**My Heart's in the Highlands**“ პოეტმა 1789 წელს დაწერა. ნაწარმოების მთავარი იდეა მდგომარეობს ღირსეული გმირის მაღალი მთებისადმი დაუცხრომელ სწრაფვაში. „**My hearts/s in Highlands, my heart is not here...**“

მაშინაც კი, როცა პოეტი არ არის მშობლიურ შოტლანდიის მთებთან ფიზიკურად ახლოს, მისი გული და ფიქრი მაინც მათ ეკუთვნის. მისი კავშირი მთებთან მარადიულია.

ნაშრომში გამოკვეთეთ მხატვრული გამომსახველობითი საშუალებები, კერძოდ კი ტროპის სახეები, რომლებიც ნაწარმოების მხატვრულობის გარანტია. ტროპი, როგორც გამოსახვის ენობრივი ფორმა, სიტყვებისა და ფრაზების პირდაპირი მნიშვნელობის გადატანითი აზრობრივი დატვირთვით გამოიყენება, რაც ხელს უწყობს ახალი ესთეტიკური ღირებულების ფორმაციას. ენის გამომსახველობითი საშუალებებიდან, არც ერთს არ აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა, ისევე როგორც ტროპს. ისინი გარკვეული ხერხებია, რაც ხელს უწყობს ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის მთლიანობის უზრუნველყოფას.

გამეორება პოეტური მეტყველების ერთ-ერთი გამომსახველობითი საშუალება, ემოციური ზემოქმედების გაძლიერების მიზნით ენობრივი ელემენტების შეგნებული გამეორებაა. ენობრივ გამეორებას მიეკუთვნება ძირითადად ბერის გამეორება (ალიტერაცია, ასონანსი), ძირის გამეორება და სიტყვის ან სიტყვათა ჯგუფის გამეორება. ჩვენს საანალიზო წყაროში ვხვდებით ბერის გამეორების, ალიტერაციისა და ასონანსის მაგალითებს, რაც უზრუნველყოფს ლექსის რითმისა და რიტმის შენარჩუნებას და პოეტის სათქმელს გამომსახველობას და ექსპრესიულობას სძენს. ალიტერაცია ერთი და იმავე, მსგავსი თანხმოვანი ბგერების განმეორებაა სალექსო სტრიქონში. ასონანსი კი ერთი და იმავე ხმოვნის გამეორება, ან მსგავს თანხმოვანთა მონაცვლეობაა სალექსო სტრიქონში.

**My heart's in the Highlands, my heart is not here,
My heart's in the Highlands, a-chasing the deer;
Chasing the wild-deer, and following the roe,
My heart's in the Highlands, wherever I go.**

აღნიშნული პოეტური ხერხები ქმნის ლექსის კეთილხმოვნებას, სიტყვის შინაარსის აკუსტიკურ თვალსაჩინოებას. შევნიშნავთ, რომ ასონანსურ რითმებს ქმნის მსგავს ხმოვანთა და განსხვავებულ/მსგავს თანხმოვანთა მონაცვლეობა (მაგ: **here – deer, roe – go**). ასონანსურ

რითმებს და სიტყვათა გამეორებას ვხვდებით შემდეგ ტაეპშიც: (**North – Worth**) (**Farewell – Farewell**);

**Farewell to the Highlands, farewell to the North,
The birth-place of Valour, the country of Worth;**

ასონანსური რითმების მეშვეობით ლექსში შენარჩუნებულია რითმა, რიტმი და გამოხატვის ემოციური ძალა.

ხოლო სიტყვათა ჯგუფის გამეორება, როგორიცაა (**My heart's in the Highlands.... My heart's in the Highlands**) ბოლომდე გასდევს ლექსს და აძლიერებს ემოციურ ფონს, ხაზს უსვამს ლირიკული გმირის დაუოკებელ სწრაფვას მთებისაკენ, თავისუფლების მოპოვებისაკენ. ლექსის მესამე სტროფში კი ყოველი ტაეპის პირველი სიტყვათა ჯგუფი (**Farewell to the..**) მეორდება:

**Farewell to the mountains, high-cover'd with snow,
Farewell to the straths and green vallies below;
Farewell to the forests and wild-hanging woods,
Farewell to the torrents and loud-pouring floods.**

პოეტი ემშვიდობება მთებს, ხევებს, ტყეებს, ჩანჩქერებს და სიტყვა „მშვიდობით“ გამეორების საშუალებით, ხაზს უსვამს საკუთარ მისწრაფებას, რომ გაეცეს იმჟამინდელ მდგომარეობას და სამყოფელს და მთიანეთს შეაფაროს თავი. მკითხველი ადვილად გრძნობს ავტორის ემოციურ განწყობილებას.

ლექსის აღნიშნულ სტროფში კვლავ შევნიშნავთ ასონანსის მაგალითებს, სადაც ხმოვნები საერთოა, ხოლო თანხმოვნები ზოგჯერ თანხვედრაშია და ზოგჯერ განსხვავებულთანხმოვანთა მონაცვლეობასაც ვხვდებით: (**snow -below, woods -floods**).

აგრეთვე, უნდა აღინიშნოს, რომ ლექსის პირველი და ბოლო სტროფები ერთმანეთის იდენტურია. როგორი სულისკვეთებითაც იწყებს პოეტი ლექსს, იგივე განწყობით ამთავრებს. მსგავსი ტიპის გამეორება, არა მხოლოდ ნაწარმოების ემოციურ ფონს ამყარებს, არამედ მის მუსიკალურობასა და კეთილხმოვანებასაც აძლიერებს.

ჩვენს საანალიზო წყაროში ვხვდებით მხატვრული ხერხების სხვა მაგალითებსაც. მაგალითად, ფრაზაში „**My heart's in the Highlands, a-chasing the deer**“, გული „**heart**“ სიმბოლურად გამოხატავს ადამიანის სურვილს, მისწრაფებას ან ლტოლვას - ამიტომაც ის ამ შემთხვევაში მეტაფორაა, რადგანაც გული პირდაპირი გაგებით არ გადაადგილდება, ეს მხოლოდ ემოციური მისწრაფებაა. რაც შეეხება „**a-chasing the deer**“ - „**დადევენება ირემს**“, დადევენება ადამიანური მოქმედებაა, რაც გულის „გაცოცხლებას“ ჰგავს. ამიტომ გვაქვს პერსონიფიკაციის შემთხვევა, ანუ გულის გაცოცხლება. ირემი კი პოეზიაში ხშირად სიმბოლოა თავისუფლების, ბუნების, სილამაზის, მთები უფრო სიმაღლეს, თავისუფლებას, სულიერ ძიებას შეიძლება ნიშნავდეს, აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთლიან ფრაზას ლექსში სიმბოლური დატვირთვა აქვს, რაც გამოიხატება სიწმინდისა და სულიერი თავისუფლებისაკენ ლტოლვაში.

ლექსის ტაეპში „**Chasing the wild-deer, and following the roe**“, აზრი გადმოცემულია ფიგურატულად, არა პირდაპირი მნიშვნელობით, ამიტომაც შეგვიძლია ველური ირმის დევნა და შვლებს მიყოლა, ალეგორიად მივიჩნიოთ, რაც უფრო ღრმა ან მიუწვდომელი მიზნისკენ სწრაფვას გულისხმობს შინაარსობრივად. ბუნებისადმი ლტოლვა და მისი იდეალიზაცია ხომ რომანტიზმის სტილისთვისაა დამახასიათებელი.

საანალიზო წყაროს მესამე სტროფში ვხვდებით ეპითეტის, მეტაფორის და პერსონიფიკაციის მაგალითებსაც.

**„Farewell to the forests and wild-hanging woods,
Farewell to the torrents and loud-pouring floods.**

„...**wild-hanging woods**“ „**გაუვალი, ველური ტყეები**“, - ფრაზაში ტყეს ეძლევა ლექსიკური გაფორმება, რაც მის გამომსახველობას აძლიერებს, ამიტომ მოცემული ფრაზა ლექსში ეპითეტის მაგალითია. აგრეთვე ეპითეტის მაგალითია „**loud-pouring floods**“ „**აზვირთებული მდინარე**“, რომელიც ემოციურად ხატავს მდინარეს. სიტყვა „**torrents**“

„ზვირთები, ძლიერი ნაკადები“, მძაფრი შინაარსის მატარებელია, რაც უფრო მეტად აძლიერებს ემოციურ ფონს. ავტორი ტყეს ეხმიანება როგორც ცოცხალ და ემოციურ არსებას, რაც შეგვიძლია მეტაფორულ გადატანად მივიჩნიოთ. ამავდროულად, კონტექსტიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, ის ტყეს და მდინარეს ისე ემშვიდობება, როგორც ცოცხალ არსებებს, („**Farewell to the forests..., Farewell to the torrents..**“) ეს კი თამამად შეგვიძლია ჩავთვალოთ პერსონიფიკაციის მაგალითად. თავად სიტყვა „**Farewell**“, „**მშვიდობით**“ მეტად სენტიმენტალურ ხასიათს ატარებს, და მისი ხშირი გამეორება ემოციურ მუხტს აძლევს მთლიანად ლექსის სტროფს.

ჩვენთვის აგრეთვე საინტერესო აღმოჩნდა ლექსის ქართულ თარგმანზე დაკვირვება. თარგმანი 1939 წელსაა შესრულებული გივი გაჩეჩილაძის მიერ. შევეცადეთ გამოგვეჩვენა რამდენად ასახა ქართულმა თარგმანმა ლექსის ღრმა ფილოსოფიურობა, ჩაწვდა თუ არა მთარგმნელი პოეტის სათქმელს, შეძლო თუ არა თარგმანში ორიგინალის მომხიბვლელობისა და ექსპრესიულობის შენარჩუნება და რაც ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია, გადმოსცა თუ არა პოეტის გამორჩეული მხატვრული გამოხატვის ფორმები. მხატვრული სახეების გადატანა ხომ მეტად რთულ საკმედ ითვლება თარგმანში. შესაბამისად, მთარგმნელს, რომელსაც მათთან შეხება უწევს, ევალება, რომ იმავე ექსპრესიულობითა და სიძლიერით გადმოიტანოს ისინი თარგმანში და მკითხველში ისეთივე ემოცია აღძრას, როგორც ამას ორიგინალი ტექსტები ახერხებენ (Proshina, 2008, 208). დალი ფანჯიკიძე მიიჩნევს, რომ თარგმანი შემოქმედებაა, ოღონდ ფილოლოგიურ შრომასთან შერწყმული შემოქმედება (ფანჯიკიძე, 1988, 3).

ინგლისური ენა არ გამოირჩევა ფლექსიური ფორმების სიჭარბით, ქართული ენა, კი მეტად მოქნილი და ლაკონურია. აქედან გამომდინარე, ინგლისური და ქართული ენების ლექსთწყობა განსხვავებულია. ამიტომაც თარგმნისას ხშირ შემთხვევაში იცვლება დედნის ლექსის ფორმა. სხვადასხვა ენების გამომსახველობითი საშუალებები განსხვავდება ერთმანეთისაგან. ამიტომაც, ყველაფერი დამოკიდებულია მთარგმნელის ხედავზე, თუ როგორ აღიქვამს ის ამა თუ იმ საგანსა თუ მოვლენას. თარგმანები ხომ მკითხველს საშუალებას აძლევს ნაწილობრივ აღიქვან ორიგინალის შინაარსი.

My heart's in the Highlands, my heart is not here,
My heart's in the Highlands, a-chasing the deer;
Chasing the wild-deer, and following the roe,
My heart's in the Highlands, wherever I go.

გული მთებისკენ მიიწევს, სტოვებს დაბლობის პირებს,
გული მთებისკენ მიიწევს, დაედევნება ირემს,
დაედევნება მთის ირემს, უნდა კვალდაკვალ მიჰყვეს,
გული მთებისკენ მიიწევს, სადაც არ უნდა ვიყვე.

პირველი სტროფის თარგმანი ლექსის აზრს კარგად გადმოსცემს. მთარგმნელი ინარჩუნებს ლექსისათვის დამახასიათებელ გამეორების მაგალითებს, (გული მთებისკენ მიიწევს... გული მთებისკენ მიიწევს...). ასევე შენარჩუნებულია მეტაფორის მაგალითი („My heart's in Highlands,... გული მთებისკენ მიიწევს,...“) და პერსონიფიკაციის შემთხვევა („a-chasing the deer“ - „დაედევნება ირემს“). მთარგმნელი ფრაზას „my heart is not here“, თარგმნის როგორც „...სტოვებს დაბლობის პირებს“, რაც ვფიქრობთ მეტად მხატვრულად შერჩეული თარგმანია, რაც ლექსის სტრიქონს სილალესა და მელოდურობას ანიჭებს.

„Farewell to the Highlands, farewell to the North,
The birth-place of Valour, the country of Worth ;
Wherever I wander, wherever I rove,
The hills of the Highlands for ever I love“.

„მშვიდობა მაღალ მთიანეთს და ჩრდილოეთის კარებს,
დიდი გმირობის სამშობლოს, სახელოვნების მხარეს.
სადაც არ უნდა წავიდე უცხო ქვეყნების კარად,
თან მდევს მაღალი სერების მე სიყვარული მარად”.

მეორე სტროფის თარგმანი დიდი მხატვრულობითაა შესრულებული. სიტყვა „Highlands” პირველ სტროფში მთარგმნელმა თარგმნა როგორც „მთები“, ამ შემთხვევაში კი შემოგვთავაზა სიტყვა „მთიანეთი“, რომელიც ვფიქრობთ, ქართველი მკითხველისათვის ადვილად აღქმადი და უფრო მეტად გასაგებია. მთარგმნელი აგრეთვე ინარჩუნებს ასონანსურ რიტმებს (კარებს ...მხარეს, ...კარად ...მარად), რითაც ქართულ თარგმანს ანიჭებს მუსიკალურობას.

**Farewell to the mountains, high-cover'd with snow,
Farewell to the straths and green vallies below;
Farewell to the forests and wild-hanging woods,
Farewell to the torrents and loud-pouring floods.**

მშვიდობა მთებს და მყინვარებს, მთების თოვლიან წვერებს,
მშვიდობა ხევებს, მშვიდობა მწვანით დაფენილ სერებს.
მშვიდობა ტევრებს, კლდეებზე გადმოკიდულებს ლაღად,
მშვიდობა მაღალ ჩანჩქერებს და აჩქარებულ ნაკადთ.

ლექსის მესამე სტროფი კარგი მაგალითია თანმიმდევრული თარგმანისა. როგორც ორიგინალშია, თითოეული ტაეპი იწყება სიტყვით „Farewell” „მშვიდობით“, რაც აძლიერებს ლექსის ლირიკული გმირის სულისკვეთებას.

მეოთხე სტროფში კი, რომელიც ორიგინალში პირველი სტროფის იდენტურია, მთარგმნელი კვლავ გვთავაზობს სიტყვა „მთიანეთს“, რომელიც პირველ სტროფში თარგმნა როგორც „მთები“. ამით ის აძლიერებს ექსპრესიას და კიდევ უფრო გამომსახველობითსა და საცნაურს ხდის პოეტის საოცნებო ადგილს.

„My heart's in the Highlands, my heart is not here,
My heart's in the Highlands, a-chasing the deer;
Chasing the wild-deer, and following the roe,
My heart's in the Highlands, wherever I go”.

„გული მთიანეთს მიიწევს, სტოვებს დაბლობის პირებს,
გული მთებისკენ მიიწევს, დაედევნება ირემს,
დაედევნება მთის ირემს, უნდა კვალდაკვალ მიჰყვეს.
გული მთებისკენ მიიწევს, სადაც არ უნდა ვიყვე”.

საანალიზო მასალაზე დაკვირვების შემდეგ ჩვენ მივედით დასკვნამდე, რომ მხოლოდ შემოქმედებითი თარგმანი იძლევა საშუალებას, ობიექტურად გადმოვცეთ დედნის აზრი. შესაძლოა მთარგმნელი სუბიექტურიც იყოს ამ შემთხვევაში, თუმცა მან უნდა შეძლოს ისეთი ფორმა მისცეს თარგმანს, რომ არც დაშორდეს ორიგინალს და თან არც მეტად თანამიმდევრული იყოს. დღესდღეობით სწორედ დედნის შემოქმედებით ასახვას მიიჩნევენ თარგმანის სწორ გზად. გივი გაჩეჩილაძისეული თარგმანი კი მიგვაჩნია მაგალითად, თუ როგორ უნდა შესრულდეს პოეზიის თარგმანი ისე, რომ არ დაიკარგოს ლექსის რიტმი, ინტონაცია, აზრობრივი სიზუსტე და რაც მთავარია მხატვრულობა. მთარგმნელი უდავოა, რომ ძალიან დიდი ყურადღებით არჩევს სიტყვებს და მათ ახალ მხატვრულ მნიშვნელობებსაც სძენს თარგმანში. შესაბამისად, მისი თარგმანი მიგვაჩნია დედანთან ახლოს მდგომ, მეტად ლაკონურ და ამავედროულად ხატოვანებით გამორჩეულ თარგმანის ნიმუშად.

ჩვენებულმა დაკვირვებამ საანალიზო წყაროზე, მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ რობერტ ბერნსის შემოქმედებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს უმდიდრესი ლექსიკა, რითიც პოეტმა ინგლისური ენა გაამდიდრა შოტლანდიური დიალექტით და საბოლოოდ შოტლანდიელი ხალხის პოეზიად აქცია. რ. ბერნსმა თავისი პოეზიით, არა მხოლოდ მშრომელი ხალხი, არამედ მსოფლიო ცივილიზაციის პროცესიც ასაზრდოვა დიდი სულიერი კულტურით და ამით სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი მსოფლიოს კლასიკოსთა გვერდით.

ბიბლიოგრაფია:

1. სოხაძე, თ. (2015). რობერტ ბერნსი ქართულ სინამდვილეში. https://www.facebook.com/permalink.php/?story_fbid=817789168270019&id=816786958370240&locale=sv_SE
2. ფანჯიკიძე, დ. (1988). თარგმანის თეორია და პრაქტიკა. გამომცემლობა „განათლება“. თბილისი.
3. Proshina, Z. (2008). Theory of translation (English and Russian). 3rd edition. Revised. Far Easter University Press. Vladivostok.
4. <https://www.facebook.com/sakartvelos.p.oet.ebi/posts/1648570935737318/>
5. <https://www.gguni.ge/leksi-guli-mtebisen-miicevs/>

„My Heart’s in the Highlands...” Linguo-stylistic analysis of the poem (According to the original and translation)

Rcheulishvili Ia

Iakob Gogebashvili State University, Telavi

Abstract

The Scottish pre-Romantic poet Robert Burns holds an important place in the history of world literature. His poetry is multifaceted. We found it interesting to generalize the poetic techniques that made this poetry accessible and easily understandable to everyone. We chose the poem “My Heart’s in the Highlands...” by Robert Burns as a material for analyzing. The poem is dedicated to the native Scottish mountains. The poem with its spirit, reminded us of the poem by Ilia Chavchavadze „To Mountains of Kvareli”. Both of the poems express longing for the high mountains, where both the land and the air are pure. Observation has shown that the poem is rich in vocabulary, which is ensured by the distinctive stylistic devices used in it. We also found it interesting to study the Georgian translation of the poem. The translation preserves the rhythm, intonation and artistry of the poem. Therefore, we consider this translation to be a sample of translation that is closest to the original, very concise and at the same time graphic.

Key words: *Burns, Romanticism, Mountains, Freedom, Poetics;*